ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5351445

ნომერი: AR1813992

თარიღი : 31.03.2021

გაცემის თარიღი : 01.04.2021

გაცნობის თარიღი : 01.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, N 5ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ნათიშვილი პ/ნ 01009016637
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 51, კორპუსი 12, ბინა 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს დეტალურად რა დანიშნულებისათვის იგეგმება (რისთვის იქნება განკუთვნილი) აღნიშნული კონსტრუქციის (დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის) მოწყობა. გარდა ამისა, განცხადებაზე წარმოდგენილი მინდობილობის თანახმად დროებითი კონსტრუქციის მოწყობა ხდება #6-ის პავილიონის შესასვლელში, განმარტეთ აღნიშნული #6 პავილიონი საკადასტრო გეგმის ნუმერაციის მიხედით რომელი შენობაა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული #6 პავილიონი საკადასტრო გეგმის მიხედვით არის #6/1 შენობა-ნაგებობა, მაშინ მინდობილობა იქნება შესაცვლელი, ვინაიდან წარმოდგენილ საკადასტრო გეგმაზე დროებითი კონსტრუქციის მოწყობის ადგილად თქვენს მიერ მონიშნულია #2/1 შენობა-ნაგებობის წინა ადგილი ან საკადასტროზე არ გაქვთ სწორად მონიშნული და გაასწორეთ.

2. წარმოდგენილი ფოტომონტაჟის და ესკიზური გეგმის მიხედვით აღიქმება ისე, რომ ხდება არსებული შენობების რეკონსტრუქცია (საპროექტო კონსტრუქცია მიდგმულია #8/1; #2/1 და #3/1 შენობა-ნაგებობების კედელზე), რაც I კლასის კუთხით ვეღარ განიხილება. იმისათვის, რომ არსებული შენობების რეკონსტრუქციად არ იქნას განხილული და განხილულ იქნას I კლასად, საჭიროა საპროექტო კონსტრუქცია (დგარები) მაქსიმალურად დააშოროთ სამივე არსებული შენობა-ნაგებობების კედლებს. აღნიშნულის შესაბამისად გაასწორეთ დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, საპროექტო კონსტრუქცის ფართობი სცდება I კლასის მახასითაებელს. გაითვალისწინეთ: I კლასის მახასიათებლებია: 60 კვმ-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ–მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირზე საშუალოდ 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობა. ასევე, შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლებია ან ტოლია 6 მ-ის. მოიყვანეთ I კლასთან შესაბამისობაში.

3. განცხადებაზე წარმოდგენილი მინდობილობის თანახმად თუ ხდება #6-ის პავილიონის შესასვლელში დროებითი კონსტრუქციის მოწყობა უფლებამოსილება დგინდება. ასევე წარმოდგენილი მინდობილობა გაცემულია 10 დღის ვადით და ძალაში 2021 წლის 5 აპრილამდე, აღნიშნულ ვადამადე თუ არ დასრულდება განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოება საჭირო იქნება ვადაში მყოფი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრის შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

4. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №44 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში, კერძოდ ზემოაღნიშნული ცვლილებით, 22-ე მუხლი 61 მუხლის თანახმად ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, 60 მ2 -მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის ან/და გრუნტის ზედაპირიდან 2,2 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის ახალი მშენებლობისას, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შეტყობინებას თან უნდა დაერთოს საგზაო მოძრაობის

ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოადგინეთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით. განგიმარტავთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სქემა სამსახურის მიერ გადაგზავნილი იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა თქვენ მიერ უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან ხოლო საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.